პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



წინასწარმეტყველება და პირადი გამოცხადება

იესო ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია აღდგენილ იქნა და არსებობს დღეს დედამიწაზე. უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიას ყოველთვის წინ მიუძღოდნენ წინასწარმეტყველები და მოციქულები, რომლებიც უწყვეტად იღებენ ზეციდან მითითებებს.

ეს ღვთიური ნიმუში ძველ დღეშიც არსებობდა. ბიბლიაში ვკითხულობთ: "ჭეშმარიტად, უფალი ღმერთი არაფერს არ მოიმოქმედებს, თუ არ გაუმხელს თავის საიდუმლოს თავისავე მსახურებს, წინასწარმეტყველებს" (ამოსი 3:7).

ღმერთი კვლავ დაგველაპარაკა ჩვენს დროში წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითის მეშვეობით. მან წინასწამეტყველი ჯოზეფ სმითის მეშვეობით გაგვიმხილა იესო ქრისტეს სახარება მთელი თავისი სისრულით. მან აღადგინა თავისი წმინდა სამღვდელოება გასაღებებთან და მასზედ დართულ ყველა უფლებასმოსილებასთან, ძალაუფლებასთან და წმინდა სამღვდელოებასთან დაკავშირებულ ყველა ფუნქციასთან ერთად.

ჩვენს დროში ცოცხალი წინასწარმეტყველები და მოციქულები უფლაბამოსილნი არიან ისაუბრონ და მითითებები მისცენ მამაღმერთისა და უფალ იესო ქრისტეს უფლებამოსილებით. მხსნელმა უთხრა წინასწარმეტყველს: "ის, რაც მე, უფალმა, ვთქვი – ვთქვი და არ ვიმართლებ თავს; ზეცა და დედამიწა გადაივლის, ჩემი სიტყვა კი არ გადავა, არამედ ყველაფერი ახდება, იქნება ეს ჩემი საკუთარი ხმით თუ ჩემი მსახურების ხმით – სულერთია" (მოძღვრება და აღთქმები 1:38).

გენერალურ კონფერენციაზე წელიწადში ორჯერ ჩვენ დალოცვილნი ვართ იმით, რომ ვისმენთ უფლის სიტყვას მისი მსახურების მეშვეობით. ეს არის ფასდაუდებელი უპირატესობა. მაგრამ ამ შესაძლებლობის ღირებულებას განაპირობებს ის, ვიღებთ თუ არა ამ სიტყვებს იმავე სულიწმინდის გავლენის ქვეშ, რომელმაც მან იმ მსახურებს გადმოსცა (იხ. მოძღვრება და აღთქმები 50:19–22). ზუსტად ისე, როგორ ისინი იღებენ მითითებებს ზეციდან, ჩვენც ასევე უნდა მივიღოთ ისინი. და ეს ჩვენგან მოითხოვს იგივე სულიერ ძალისხმევას.

"შეასრულე საშინაო დავალება"

წლების წინ თორმეტ მოციქულთა ქვორუმის ერთ-ერთმა წევრმა მთხოვა, წამეკითხა მისი საკონფერენციო გამოსვლა. ეს იყო ქვორუმის უმცროსი წევრი. ჩემთვის პატივი იყო მისი ნდობა იმისა, რომ შევძლებდი დავხმარებოდი მას, ეპოვა სიტყვები, რომლებიც უფალს სურდა, რომ ეთქვა. მან ღიმილით მითხრა: "ეს გამოსვლის 22-ე შავი პირია".

მე მახსოვს მოსიყვარულე, კეთილი პრეზიდენტის, ჰაროლდ ბ. ლის (1899–1973) მიერ მოცემული რჩევა, რომელზედაც მან ადრე განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება: "ჰალ, თუ გინდა,

გამოცხადება მიიღო, შეასრულე საშინაო დავალება”.

მე წავიკითხე, გავიაზრე და ვილოცე 22-ე გამოსვლის შავი პირის შესახებ. მე მთელი ძალისხმევით შევეცადე, შემესწავლა იგი სულიწმინდის გავლენის ქვეშ. იმ დროისთვის, სანამ ქვორუმის ეს წევრი სიტყვით გამოვიდოდა, მე საშინაო დავალება შევასრულე. არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ მას დავეხმარე, თუმცა ვიცი, რომ მე შევიცვალე, როცა ის გამოსვლა მოვისმინე. მე მივიღე გზავნილები, რომლებიც ბევრად აღემატებოდა სიტყვებს, რომლებიც წავიკითხე და რომლებიც მოვისმინე. იმ სიტყვებს უფრო ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სიტყვებს შავ პირში. და ეს გზავნილი თითქოს ჩემთვის იყო, ჩემს საჭიროებებს ეხებოდა.

ღვთის მსახურები მარხულობენ და ლოცულობენ, გამოცხადებისა და შთაგონების მაძიებელთათვის უფლისგან გზავნილის მისაღებად. ამ და მრავალი მსგავსი გამოცდილებიდან ვისწავლე, რომ დიადი დალოცვების მისაღებად - ცოცხალი წინასწარმეტყველებისა და მოციქულების მოსმენისგან სარგებლის მისაღებად, ჩვენ თავად უნდა გადავიხადოთ გამოცხადების მიღების საფასური.

უფალს უყვარს ყოველი ადამიანი, რომელსაც ესმის მისი გზავნილი, მან იცის ყოველი ადამიანის გული და ვითარება. მან იცის, რა სახის ჩასწორება, შეგულიანება და სახარების ჭეშმარიტება საუკეთესოდ დაეხმარება ყოველ ადამიანს აირჩიოს საკუთარი გზა მარადისობისკენ.

ჩვენ, რომელნიც ვუსმენთ და ვუყურებთ გენერალურ კონფერენციას, ხშირად ვფიქრობთ მისი დასრულების შემდეგ: “ყველაზე კარგად რა დამამახსოვრდა”? უფლის იმედი თითოეული ჩვენგანისთვის არის ის, რომ პასუხი იქნება: “არასდროს არ დამავიწყდება ის წუთები, როცა სულიწნინდის ხმა გავიგონე გონებაში და გულში, რომელიც მეუბნებოდა, რისი გაკეთება შემეძლო მამაზეციერისა და მხსნელის გასახარებლად”.

ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ასეთი პირადი გამოცდილება, როცა ვუსმენთ წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს, ასევე რწმენაში ვშრომობთ მის მისაღებად, ზუსტად ისე, როგორც პრეზიდენტმა ლიმ გვითხრა. საკუთარი გამოცდილებიდან და სულიწმინდის დამოწმებიდან ვიცი, რომ ეს ჭეშმარიტებაა.

ამ გზავნილის სწავლება

წაიკითხეთ ხმამაღლა პრეზიდენტ აირინგის ისტორია ქვორუმის ერთ-ერთი წევრის საკონფერენციო გამოსვლის შავ პირზე მუშაობის შესახებ. შეიძლება იკითხოთ: “რა ფასად გვიჯდება გამოცხადების მიღება”? დისკუსიის შემდეგ შეგიძლიათ მოიპატიჟოთ ისინი, ვისაც სტუმრობთ და შეიმუშაოთ გეგმა მომავალი გენერალური კონფერენციის გზავნილების მიღებასთან დაკავშირებით “იმავე სულიწმინდის გავლენის ქვეშ, რომლითაც ისინი მიეცათ [ღვთის] მსახურებს”.

ახალგაზრდები

მამაზეციერი მესაუბრა კონფერენციის გამოსვლის მეშვეობით

ან ლალესკა ალვეს დე სოუზას მიერ

მე არ ვიყავი დარწმუნებული იმაში, რა უნდა მესწავლა უნივერსიტეტში. უმრავლესობა ცუდად მოიხსენიებდა იმ კურსს, რომლის გავლას ვაპირებდი, ასე რომ მე ვილოცე უფლისადმი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ იგი ეთანხმებოდა ჩემს გადაწყვეტილებას.

პასუხი მეორე დღეს მივიღე, როცა ვკითხულობდი გენერალური კონფერენციის გამოსვლას *ლიახონაში*. მე ვიგრძენი, თითქოს მამაზეციერი მეუბნებოდა, რომ ვერ გააკეთებდა ჩემს მაგივრად არჩევანს ანუ ეს გადაწყვეტილება მე თავად უნდა მიმეღო. მე ვიცოდი, რომ მიუხედავად ჩემი არჩევანისა, წარმატებისთვის ბევრი უნდა მეშრომა.

მე ვიცი, რომ ლოცვაზე პასუხი მივიღე. სულიწმინდის დასტური დამეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში. მე ვისწავლე, რომ ძალისხმევა არ უნდა დავიშურო და მამაზეციერი დამეხმარება.

ავტორი ცხოვრობს ბრაზილიაში, სერგიპში.

ბავშვები

მიჰყევით წინასწარმეტყველს

წინასწარმეტყველები და მოციქულები საუბრობენ მამაზეციერისა და იესო ქრისტეს შესახებ. ისინი გვასწავლიან, როგორ უნდა მივყეთ იესოს. რა გვთხოვეს წინასწარმეტყველებმა და მოციქულებმა?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, April 2016.* Georgian. 12864 131

მარადიული მამის ასულნი

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ გაზრდის "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" წვდომა თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ჩვენ "ღვთის მოდგმა ვართ" (საქმეები 17:29). ღმერთმა მიმართა წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითის მეუღლეს, ემა სმითს: "შვილო ჩემო"(მოძღვრება და აღთქმები 25:1). მოწოდება მსოფლიოს გვასწავლის, რომ თითოეული ჩვენგანი არის "ზეციური მშობლების . . . საყვარელი სული".[1]

"[წინა მიწიერ] ცხოვრებაში ჩვენ შევიტყვეთ მარადიული ქალური იდენტურობის შესახებ", თქვა მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტობის პირველმა მრჩეველმა ქეროლ მ. სტეპენსმა.

"ჩვენს დედამიწაზე მიწიერ მოგზაურობას არ შეუცვლია ეს ჭეშმარიტებანი".[2]

უხუცესმა ჯეფრი რ. ჰოლანდმა, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, თქვა: "მამაზეციერმა იცის თქვენი სახელი და ვითარება". "მას ესმის თქვენი ლოცვები. მან იცის თქვენი იმედებისა და ოცნებების, ასევე შიშისა და გულგატეხილობის შესახებ".[3]

". . . ჩვენ ყველანი მივეკუთვნებით ღვთის ოჯახს და ვჭირდებით მას", – თქვა და სტეპენსონმა. "მიწიერი ოჯახები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. და მაშინ, როცა ასე ვცდილობთ, შევქმნათ ძლიერი ტრადიციული ოჯახები, ღვთის ოჯახის წევრობა არ არის დამოკიდებული არანაირ სტატუსზე – არც საქორწინო, არც მშობლიურ, არც ფინანსურ, არც სოციალურ სტატუსზე და არც იმ სტატუსზე, რომელსაც სოციალურ მედიაში ვაქვეყნებთ".[4]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

იერემია 1:5; რომაელთა 8:16; მოძღვრება და აღთქმები 76:23–24

ჩვენი ისტორიიდან

თავის პირველ ხილვაში[5] წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი გვიდასტურებს მრავალ ჭეშმარიტებას, იმის ჩათვლით, რომ მამაზეციერი სახელით გვიცნობს.

ახალგაზრდა ჯოზეფ სმითი ვერ წყვეტდა, რომელ ეკლესიას შეერთებოდა და იპოვა მითითება იაკობის 1:5. ჯოზეფმა გადაწყვიტა, რომ ჰკითხავდა ღმერთს.

1820 წ. გაზაფხულს იგი წავიდა ტყეში, რათა ელოცა, მაგრამ იგი უმალვე ბნელმა ძალებმა შეიპყრეს. იგი ასე აღწერს ამას:

"მე დავინახე მზეზე უფრო კაშკაშა სინათლის სვეტი, პირდაპირ ჩემს თავზედ, რომელიც თანდათანობით ეშვებოდა, სანამ არ დამფარა.

"როგორც კი ეს შუქი გაჩნდა, თავი მტრისგან განთავისუფლებული მეგონა, რომელმაც კინაღამ შემიპყრო. როცა შუქი სრულად გადმოვიდა ჩემზედ,ჰაერში ვიხილე ორი არსება, რომელთა ბრწყინვალების და დიდების აღწერა შეუძლებელია. ერთი მათგანი დამელაპარაკა, სახელით მომმართა, მიუთითებდა რა მეორისაკენ და თქვა:*ეს არის ჩემი საყვარელი ძე. უსმინე მას!*" (ჯოზეფ სმითი – ისტორია 1:16–17).

შენიშვნები

1. "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2010 წ. ნოემბერი, გვ. 129.
2. ქეროლ მ. სტეპენსი, "ოჯახი ღვთისაა", *ლიახონა,* მაისი 2015, 11.
3. ჯეფრი ჰოლანდი "ახალგაზედა ქალებს" *Liahona,* 2005 წ. ნოემბერი, გვ. 28.
4. ქეროლ მ. სტეპენსი, "ოჯახი ღვთისაა", 11.
5. See Gospel Topics, "First Vision Accounts," topics.lds.org.

განიხილეთ შემდეგი

როგორ აისახება თქვენს გადაწყვეტილებებზე ცოდნა იმისა, რომ თქვენ ხართ ღმერთის ასული?

© 2016 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, April 2016.*Georgian. 12864 131